ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3328332

ნომერი: AR1512567

თარიღი : 08.06.2017

გაცემის თარიღი : 16.06.2017

გაცნობის თარიღი : 19.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 6 , (ნაკვეთი 42/169) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩხაიძე პ/ნ 01024058267
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა, N 8, ბინა 81

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადზე ერთიანი ესკიზის საფუძველზე კონდიციონერის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, თამარაშვილის ქ. N 6, (ნაკვ. N 42/169)–ში, ერთიანი ესკიზის საფუძველზე მოქ. გიორგი ჩხაიძის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კონდიციონერის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს. I კლასის სამუშაობი წარმოებს მშენებლობის ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882016632722 საკადასტრო კოდი N 01.14.03.042.186.02.01.212, და საპროექტო ფოტომონტაჟი) არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, გეგმები და საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, თამარაშვილის ქ. N6, (ნაკვ. N 42/169)–ში, ერთიანი ესკიზის საფუძველზე მოქ. გიორგი ჩხაიძის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კონდიციონერების მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ :

– სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.